



მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებულში

სახალხო კომისარტა საგზოს და ეკონომიური საგზოს  
სამხეთა მმართველობის გამოსცემა

1932 წ. ოქტომბრის 20

№ 20

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### ხახელმწიფო წყობილება და მმართველობა

155. „რევოლუციონური კანონიერების თაობაზე“ გამოცემული სსრ კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარტა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ს დადგენილების საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

156. 1932 წლის მარტის 22-ის დადგენილების გაუქმების შესახებ, რომელი დადგენილებითაც კ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსს მინიჭებული აქვს უფლება დაადოს გადასახდელი—ერთ თვემდე დაპატიმრება—საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევთ და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე გამოცემული სავალდებულო დადგენილების დამრღვევთ,

157. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებების მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშეწყობ ბრიგადებად რეორგანიზაციის შესახებ.

### მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

158. „საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული 1932 წლის აპრილის 13-ის დადგენილების მე-5 მუხლის ძალაკარგულად ჩათვისის შესახებ.

### მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

159. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წ. წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

160. კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების საღაროების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების საღაროების შესახებ.

161. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცი. ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების გაუქმების შესახებ.

### ვაჭრობა. მომარაგება

162. სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხაზით დამზადებელი ორგანოების კონფენციების მოწყობის შესახებ.

163. საკომმერუნეო ვაჭრობის გაშლისთვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

164. „სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

### ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი

165. „სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში

— ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან) არსებული საგზაო სამუშაოებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მშენებლობის საპერსპექტივო და ოპერატიული გეგმების შედგენისა და მსვლელობის წესის დებულებისა და აღმასრულებელ ჩათვლის შესახებ.

**კავშირგაბმულობა**

166. საფოსტო კავშირგაბმულობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

**კომუნალური და საბინაო მეურნეობა**

167. „საცხოვრებელი სადგომების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის შეცვლის შესახებ.

168. სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყენების, მიღებისა და ვაგზანის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ.

169. სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების 4<sup>1</sup> და 12 მუხლით შეცვლისა და ამავე დებულების მე-5 მუხლის შენიშვნის ამოშლის შესახებ.

170. დაჯერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე გამოცემული დეკრეტისათვის მე-2 მუხლის „ლ“ და „მ“ პუნქტების და 12<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

171. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ის დადგენილების 29—34 მუხლების გაუქმების შესახებ.

172. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-8 და მე-9 მუხლების შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის 8-<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

173. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში ცხოვრებისათვის გადასახდებიანი სასყიდლის შესახებ.

**კ რ ე დ ი ბ ი**

174. სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდების შესახებ.

175. საკრედიტო კოოპერატიული მშენებლობათა ძირითადი და სპეციალური კაპიტალების გაძლიერებისათვის სესხის გაცემის მიზნით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თავიანთი ბიუჯეტებიდან სახსრის გამოყოფის თაობაზე გამოცემული დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

**სოციალურ-კულტურული წყობილება**

176. სამეცნიერო მომუშავეთა ნომენკლატურისა და სამეცნიერო თანამდებობათა დაქვრის წესის შესახებ.

177. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საკურორტო მშენებლობის განხორციელების შესახებ.

178. იმ არტელების წევრთა შეღავათების შესახებ, რომელთაც ლარბი ებრაელთა სრულიად საქართველოს კომიტეტი აერთიანებს.

179. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 129 მუხლის შეცვლის შესახებ.

180. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შესახებ.

**სისხლის სამართალი**

181. სისხლის სამართლის კოდექსის 103-<sup>1</sup> მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

182. სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

183. მტკიცე დავალებათა შეუსრულებლობისათვის შეძლებული მეურნეობების პატრონთა პასუხისმგებლობის შესახებ.

184. შრომა—გასწორების კოდექსის 41 მუხლის „ბ“ პუნქტის და 52 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 49<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

**სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება**

185. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 71 მუხლის მე-2 ნაწილის და 304 მუხლის შეცვლის შესახებ.

186. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლის „ა“ პუნქტის მე-5 ქვეპუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

187. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-<sup>1</sup> და 455 მუხლების შეცვლის შესახებ.

188. „ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავედ იმ საწარმოო—საამბანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილების მე-13 მუხლის შეცვლის შესახებ.

## სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

საქართველოს  
საბჭოთაო სოციალისტური  
რესპუბლიკის

## 155. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„რევოლუციონური კანონიერების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1982 წ. ივნისის 25-ის დადგენილების საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

რათა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის დადგენილება „რევოლუციონური კანონიერების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 50 №-ი, მუხ. 258 და „სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 176 №-ი 1932 წ. ივნისის 27-ისა) სავესტით იქნეს განხორციელებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და ამ საერთო-საკავშირო საკანონმდებლო აქტის ა/კსფსრ-ში განხორციელების ღონისძიებათა შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 2-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“-ს 153 №-ი 1932 წ. ივლისის 3-ისა)“, —სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს — მოაწყონ დაუყოვნებლივ კომისიები სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სახალხო მოსამართლისა (ქალ. ტფილისში — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი წევრისა), სარაიონო პროკურორის ან სახალხო გამომძიებლისა (ქ. ტფილისში — რესპუბლიკის პროკურორის ერთ-ერთი თანამემწისა), მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლისა, პროფესიონალური კავშირების სარაიონო საკავშირთშორისო ორგანოს (ქ. ტფილისში — საქართველოს პროფესიონალური კავშირთა საბჭოს) წარმომადგენლისა, ალკკ-ის წარმომადგენლისა და კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირის (ქ. ტფილისში — საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრის) წარმომადგენლის შედგენილობით.

აღნიშნულ კომისიებს დაეკისროს:

ა) შეამოწმონ ყველა განცხადება და საჩივარი რევოლუციონური კანონიერების დარღვევისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების თაობაზე, რაც ჩადენილია თანამდებობის პირთა მიერ, და პირველ რიგში — მუშებისა, მშრომელი გლეხებისა, წითელ არმიელებისა და სპეციალისტების განცხადებები და საჩივრები;

ბ) შეამოწმონ ცალკეულ კოლმეურნეთათვის და ინდივიდუალურ საშუალო საგლეხო მეურნეობათათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის სფეროში მტკიცე დავალებათა დაკისრებისა და მათი განკულავების პრაქტიკა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შესაბამეა ეს პრაქტიკა საბჭოთა ხე-

ლისუფლებების კანონებს და კულაკურ ელემენტებისათვის საბჭოთა კანონებით დადგენილ დავალებებსა და ღონისძიებებს.

კომისიებმა უნდა შეამოწმონ როგორც სახელმწიფო პროკურატურისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს ყველა მასალა ზემოაღნიშნული საკითხების გამო, ისე კომისიებში უშუალოდ შეტანილი ყველა განცხადება და საჩივარი.

კომისიები მოვალენი არიან ფართოდ აუწყონ მოსახლეობას (პრესაში პუბლიკაციით, განცხადებების გაკვრით დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ადგილებში, ქუჩებში, მოედნებზე და ბაზრებში, სოფლად ყრილობებზე მოქალაქეთათვის გამოცხადებით და სხვა მისთ.), რომ მიიღება საჩივრები და განცხადებები და დაამყარონ ამ განცხადებებისა და საჩივრების გამოკვლევის და განხილვის ისეთი წესი, რაც უზრუნველყოფს მათ სასწრაფოდ და სისავესით გადაწყვეტას.

კომისიას უფლება აქვს დაუყოვნებლივ გამოასწოროს მომქმედი კანონების ყველა ჩადენილი დარღვევა სათანადო დადგენილებებისა და განკარგულებების უშუალო გაუქმებით, და შესაფერ შემთხვევაში—იმ ორგანოებისათვის შეტყობინებით, რომელნიც უფლებამოსილ არიან გააუქმონ ეს დადგენილებანი და განკარგულებანი; ხოლო ისეთი შემთხვევის გამოკვლევისას, რაც საბაბს იძლევა თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სადისციპლინო ან სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრისათვის, კომისიები მოვალენი არიან აცნობონ ეს სათანადო ორგანოს ან პროკურატურას.

მიღებული მასალის მიხედვით გამოძიების მოსახდენად კომისიებს უფლება აქვთ მისცენ საამისო დავალება საგამომძიებლო აპარატს და საჩივართა ბიუროს აპარატს.

წინადადება მიეცეს ზემოაღნიშნულ კომისიებს—დაამთავრონ თავიანთი მუშაობა ორი თვის განმავლობაში დღიდან კომისიის მოწყობისა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურორს—უზრუნველყონ ზემოაღნიშნული წესით აღძრულ სისხლის საქმეთა რიგს ვარეშე და სასწრაფო გამოძიება და განხილვა და მოახდინონ საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაცია ამ საქმეების გარშემო.

2. წინადადება მიეცეს სახელმწიფო პროკურატურას და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს—შეამოწმონ ადგილებზე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების მიერ სადმინისტრაციო წესით ჯარიმების დადების პრაქტიკა (კერძოდ—სასოფლო-სამეურნეო კამპანიებთან დაკავშირებით) და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოაშკარავდება, რომ ჯარიმა დადებულია მომქმედი კანონმდებლობის დარღვევით, განაპროტესტონ არსებული წესისამებრ სათანადო დადგენილებები.

3. წინადადება მიეცეს სახელმწიფო პროკურატურისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სასამართლოს ორგანოებს, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ

კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა სასტიკად იქნეს დაცული რევოლუციონური კანონიერება საკოლმეურნეო მშენებლობის სფეროში, კერძოდ-იხმარონ ღონისძიება, რათა თავიდან აცილებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-ოპერატიულ მუშაობაში უკანონო ჩარევა, სახელდობრ: კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებისა და სხვა ორგანოების არჩევნობის დარღვევა, კოლექტიურ მეურნეობათა ქონებისა, ფულადი სახსრისა და მიწის ფონდების თვითნებისად განკარგულება, ბრძანებლობის მეთოდების შეფარდება (კოლექტიური მეურნეობების თვითნებისად გადაკეთება, გადიდება და სხვა მისთ.).

ზემოაღნიშნულმა ორგანოებმა უნდა იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა სავსებით და ზედმიწევნით განხორციელებულ იქნეს მთავრობის დადგენილებანი კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების ვაჭრობის ფართოდ გაშლის, საკოლმეურნეო ბაზრების შექმნის და საქონლისა, ფრინველისა და სხვა მისთ. იძულებით განსაზოგადოების აკრძალვის სფეროში.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო პროკურატურისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს—სასტიკ პასუხისგებაში აძლიონ თანამდებობის პირნი კანონებისა და მთავრობის დადგენილებების დარღვევისათვის ზემოაღნიშნული საკითხების სფეროში და აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულ იქნება მშრომელთა უფლებანი, განსაკუთრებით კი უკანონო დაპატიმრებისა, გაჩხრეკისა, კონფისკაციისა და ქონების ჩამორთმევისათვის და სხვა მისთ.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს—მისცეს დირექტივა სასამართლო ორგანოებს—გააძლიერონ სოციალური დაცვის ღონისძიება—სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ფარგლებში—ზემოაღნიშნულ დანაშაულობათათვის.

4. კატეგორიულად აიკრძალოს სახალხო მოსამართლეთა მოხსნა და გადაყვან-გადმოყვანა საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან შეთანხმებული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებების გარეშე, ხოლო პროკურორებისა და გამომძიებლების მოხსნა და გადაყვან-გადმოყვანა—რესპუბლიკის პროკურორის განკარგულების გარეშე.

5. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს მოისმინონ ხოლმე სასამართლო ორგანოებისა და პროკურატურის სისტემატიური მოხსენებანი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამოხსენებანი რევოლუციონური კანონიერების შთანერგვისათვის წარმოებული მუშაობის შესახებ.

მიენდოს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურორს—წარუდგინონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 1932 წ. სექტემბრის 15-თვის მოხსენებანი ამა დადგენილების განხორციელების შესახებ.

6. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ინმარონ ლონისძიებანი „რევოლუციონური კანონიერების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის დადგენილების აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე განხორციელებისათვის, რისთვისაც მოაწყონ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებული კომისიები.

სრულ. საქართ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1932 წ. ივლისის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 172 №-ში 1932 წ. ივლისის 26.

### 156. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

1932 წლის მარტის 29-ის დადგენილების გაუქმების შესახებ, რომელი დადგენილებითაც ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსს მინიჭებული აქვს უფლება დაადოს გადასახდელი—ერთ თვემდე დაპატიმრება—საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევი და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე გამოცემული სავალდებულო დადგენილების დამრღვევთ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. მარტის 29-ის დადგენილება „ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსისათვის უფლების მიცემის შესახებ—დაადოს გადასახდელი ერთ თვემდე დაპატიმრება—საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევთ და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე გამოცემული სავალდებულო დადგენილებების დამრღვევთ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-7 №-ი, მუხ. 55) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1932 წ. ივლისის 9.

ქ. ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 170 №-ში 1932 წ. ივლისის 23.

## 157. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებების მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ ბრიგადებად რეორგანიზების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-2 №-ი, მუხ. 12) მოწყობილი მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე ნებაყოფლობითი საზოგადოებანი რეორგანიზებულ იქნენ მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ ბრიგადებად.

2. ხელშემწყობი ბრიგადები მოეწყობიან და არსებობენ მუშათა და გლეხთა მილიციის სათანადო საქალაქო და სარაიონო სამმართველოებთან უშუალოდ; მათ ამოცანას შეადგენს—ხელი შეუწყონ მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, კერძოდ—ამ ორგანოების მიერ წარმოებულ ბრძოლაში ხულიგნობასთან და ქურდებში, საზოგადოებრივ ადგილებში და სხვა მისთ. წესრიგის დარღვევასთან.

3. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ ბრიგადებში შეიძლება ირიცხებოდნენ მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები და სხვა მშრომელი მოქალაქენი ორივე სქესისა, რომელთაც შესრულებიან 18 წელი, აქვთ საბჭოთა საარჩევნო უფლება, მიცემულ არ არიან საპარტალსა და გამოძიებაში, არა აქვთ შეზღუდული უფლება სასამართლოს განაჩენებით და აგრეთვე არა აქვთ გადაწყვეტილი ხულიგნობისა და გამაწბილებელი ქმედობისათვის სოციალური დაცვის სისხლის სამართლის ღონისძიება ან აღმინისტრაციული გადასახდელი.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა ორგანოებს აქვთ გადგინების უფლება მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ ბრიგადებში შესულ მოქალაქეთა მიმართ.

4. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ ბრიგადებში მყოფ მოქალაქეს უფლება აქვს:

ა) შეადგინოს მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოს მინდობილობით ოქმი ადგილობრივი საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო;

ბ) იხმაროს საპირო ღონისძიება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მოსპობისათვის და დამნაშავეთა შეპყრობისათვის მილიციის თანამშრომელთა მისვლამდე, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მილიციის უახლოეს ორგანოს.

მილიციის სათანადო ორგანოს შეუძლიან დააკისროს ხელშემწყობ ბრიგადას შემდეგი მოვალეობა:

- ა) საზოგადოებრივ ადგილას წესრიგისათვის თვალყურის დევნება;
- ბ) მილიციის შემოვლაში მონაწილეობის მიღება;
- გ) თანამოწმის მოვალეობის შესრულება მილიციის ორგანოს მიერ გაჩხრეკის, დათვლიერების და ამოხმის მოხდენის დროს;
- დ) მილიციის ორგანოში მორიგეობა;
- ე) საგუშაგო სამსახურის გაწევა;
- ვ) პატიმართა ბადრაგობა.

5. მე-4 მუხლში აღნიშნულ მოვალეობათა აღსრულების დროს მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ ბრიგადებში მყოფი მოქალაქენი ვათანაბრებულ არიან თანამდებობის პირებთან და ამ პირების თანაბრად პასუხს აგებენ სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით თავიანთი უკანონო და არასათანადო მოქმედებისათვის.

ხელშემწყობ ბრიგადაში მოვალეობის აღსრულების დროს ამ მოქალაქეთ უნდა ჰქონდეთ სათანადო მოწმობა და განსაკუთრებული, მკერდზე სატარებელი, ნიშანი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს მიერ დადგენილი ფორმისა.

6. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებული ხელშემწყობი ბრიგადების ორგანიზაცია და მოქმედების წესი განისაზღვრება ამ ბრიგადების დებულებით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველო.

ხელშემწყობი ბრიგადებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა ეკისრება აღნიშნულ მთავარ სამმართველოს.

7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 31-ის დადგენილება „მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-2 №-ი, მუხ. 12) გაუქმებულ იქნეს.

8. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

სრულიად საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. შვალაშვილი.

სრულიად საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1932 წ. ივლისის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 180 №-ში 1932 წ. აგვისტოს 4.



## მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

### 158. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული 1932 წლის აპრილის 13-ის დადგენილების მე-5 მუხლის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციის ფორმების შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 23-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 14 №-ი, მუხ. 118), რომელი დადგენილებაც გამოცემულია „სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო მშენებლობის თაობაზე“ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წლის თებერვლის 26-ის თარიღით მიღებული დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი შენიშვნის საფუძველზე (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 14 №-ი, მუხ. 74), მე-5 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აპრილის 13-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 11 №-ი, მუხ. 69) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

### 159. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

„1932 წ. წყლის გამოსაღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 23-ის დადგენილების შესაბამისად („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს 173 №-ი 1932 წ. ივნისის 24-ისა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

#### I.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წელს წყლის გამოსაღების ჩატარებაზე ვრცელდება ის წესი, რაც ვათვალისწინებულია საქართველოს სსრ სა-

ხალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 11-ის დადგენილებით „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 173).

## II.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 11-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 173) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-8 მუხლში და მის შენიშვნაში, მე-13 მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებში, მე-14, 19 და 21 მუხლებში და 23 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მინიშნება 1931 წელზე შეიცვალოს მინიშნებით 1932 წელზე;

ბ) მე-8 და 14 მუხლებში სიტყვები „1931 წ. ნოემბრის 1-თვის შეიცვალოს სიტყვებად „1932 წ. ოქტომბრის 1-თვის“;

გ) მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„რკინის გზა წყლის გამოსაღებს გამოიანგარიშებს არა უგვიანეს 1932 წ. ოქტომბრის 1-ისა ორიენტირულად იმისდა მიხედვით, თუ რამდენი წყალი დაიხარჯა პირველი ნახევარ წლის განმავლობაში, და გადაიხდის მას ორ ვადაზე: 50%-ს—1932 წ. ოქტომბრის 1-თვის და 50%-ს—1932 წ. დეკემბრის 1-თვის“;

დ) მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტი და 23 მუხლის „ბ“ პუნქტი ამოიშალოს;

ე) მე-15 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„15. არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 1-ისა კოლექტიური მეურნეობის გამგეობა, თავისი წლიური ანგარიშის საფუძველზე, წარუდგენს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს (საფინანსო განყოფილების ხაზით), სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად საჭირო მასალასთან ერთად, ცნობებს წყლის გამოსაღების თანხის საბოლოოდ გამოანგარიშებისათვის.

უკეთუ საბოლოოდ გამოანგარიშებული განაკვეთი წყლის გამოსაღებისა იმ თანხაზე მეტი აღმოჩნდა, რაც კოლექტიურმა მეურნეობამ შეიტანა, განსხვავება გადახდილ უნდა იქნეს 10 დღის ვადაზე წყლის გამოსაღების საბოლოო რაოდენობის გამოცხადების დღიდან.

უკეთუ კოლექტიურმა მეურნეობამ შეიტანა მეტი თანხა, ვიდრე მასზე საბოლოო გამოანგარიშებით მოდის, ზედმეტად გადახდილი თანხა მას დაებრუნება.

ვ) 30 მუხლის „ა“ პუნქტში სიტყვები „იმ ორგანოებს, რომელნიც აღნიშნული არიან „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 18-ის დადგენილების მე-VI კარში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 72)“ შეიცვალოს სიტყვებად „იმ ორგანოებს, რომელნიც აღნიშნული არიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 26-ის დადგენილებების მე-VI კარში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-12 №-ი, მუხ. 87)“.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 186 №-ში 1932 წ. ივლისის 4.

## 160. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სა-  
ლაროების დებულების დამტკიცების შესახებ.**

„კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის თებერვლის 1-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-9 №-ი, მუხ. 51) და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 31-ს დამტკიცებული „კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს დებულების“ გასაუქმებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოწმდევნო დებულება „კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების შესახებ“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. ივლისის 2.

ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალა-  
როების შესახებ.**

1. კოლექტიური მეურნეობის საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალარო ეწყობა კოლექტიური მეურნეობის საერთო ან სადელაგატო კრების ხმის მარტივი უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების თანახმად.

2. კოლექტიური მეურნეობის საურთიერთო დახმარების სალაროს განაგებენ არჩეული ორგანოები და იგი მოქმედობს საერთო ან სადელეგატო კრების მიერ დამტკიცებული წესდების თანახმად. სალაროს წესდება შემუშავებულ

უნდა იქნეს სსრკ-ის საკოლმეურნეო ცენტრის მიერ გამოცემული და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსაგან დამტკიცებული ტიპური წესდების შესაბამისად.

სალაროს წესდებაში შეტანილი ცვლილებანი და დამატებანი ტიპურ წესდებასთან შედარებით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამა დებულებას, სსრკ-ისა, ა/ქსფსრ-ისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობას და ტიპური წესდების ძირითად დებულებებს.

3. კოლექტიური მეურნეობის საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროს რეგისტრაციას აწარმოებს სოციალური უზრუნველყოფის სარაიონო ორგანო სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით განსაზღვრული წესისამებრ.

4. კოლექტიური მეურნეობის საურთიერთო დახმარების სალარო დახმარებას უწევს კოლმეურნეთ (კაცთ და ქალთ) ინვალიდობისა, მოხუცებულობისა, ავადმყოფობისა, ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში და აგრეთვე სხვა შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნე მოკლებულია შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს წარმოებაში და საჭიროებს საზოგადოებრივ დახმარებას.

ამასთანვე, საურთიერთო დახმარების სალაროს მოქმედებას საფუძველად უნდა ჰქონდეს კოლმეურნეობის საროგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება და ხელს უწყობდეს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

5. დახმარების ოდენობა, წესი და ფორმა განისაზღვრება კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო ან სადელეგატო კრების დადგენილებით ტიპური წესდებისა და სალაროს ხელთქონებული სახსრის შესაბამისად.

6. სალარომ უნდა გაუწიოს თავის წევრებს დახმარება უპირველეს ყოვლისა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მოწყობით და ამით ხელი შეუწყოს კოლმეურნეთათვის სოციალურ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევას; ინვალიდების საშრომლად მოწყობით, სწავლებით და პროტეზირებით; საბავშვო ბაღებისა, ბაგებისა და სამეანო კურსების ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობით და თავისი წევრებისათვის სამკურნალო-საპროფილაქტიკო დახმარების გაწევით.

7. საურთიერთო დახმარების სალაროს სახსარს, კოლექტიურ მეურნეობაში საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების ორგანიზაციის ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, შეადგენს კოლექტიური მეურნეობის წევრთა პირადი შემოსავლის ანარიცხი, რაც დადგენილი უნდა იქნეს ნებაყოფლობით საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად.

ამის გარდა, საურთიერთო დახმარების სალაროს სახსარს შეადგენს:

ა) კოლექტიური მეურნეობის საზოგადოებრივი ფონდის ანარიცხი, რომლის რაოდენობასაც განსაზღვრავს კოლექტიური მეურნეობის საერთო ან სადელეგატო კრება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-11 §-ის თანახმად;

ბ) ლიკვიდირებული გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოების სახსარი და ქონება, რაც გადაეცემა სალაროს;

- გ) სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გადაცემული თანხები;  
 დ) უპატრონო, ბეითალმანი და სასამართლო თუ საადმინისტრაციო წესით კონტინკებული ქონება, რაც გადაეცემა სალაროს კანონის თანახმად;  
 ე) საშტრაფო და სხვა თანხები, რაც გადაიხდებინება სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს გადაწყვეტილებებით;  
 ვ) ყველა სხვა შემოსავალი.

8. იმ რაიონებსა და სოფლებში, რომლებშიაც მთლიანი კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრებულია, ე. ი. იქ, სადაც კოლექტივიზირებულ მეურნეობათა რიცხვი ღარიბ და საშუალო მეურნეობათა საერთო რიცხვის 68 პროცენტს აღემატება, გლახთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებები ლიკვიდირებულ უნდა იქნეს. ამ რაიონებსა და სოფლებში ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეის შეიძლება მიღებულ იქნენ კოლექტიურ მეურნეობათა საურთიერთო დახმარების სალაროების წევრებად კოლმეურნეთა საერთო ან სადელეგატო კრებების დადგენილებებით.

გლახთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებათა მთელი ქონება და აგრეთვე ყველა ფულადი და მატერიალური სახსარი და ფასეულობა (სხვათაშორის ყველა გაცემული სესხის ვალდებულება) გადაეცემა კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროებს; ამასთანვე, საწარმონი გადაეცემა კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც უნდა გადაუხადონ კოლექტიური მეურნეობების საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროებს საწარმოთა ნამდვილი ღირებულება.

ქონების ღირებულებას და კოლექტიური მეურნეობის მიერ სალაროსათვის ამ ღირებულების გადახდის საკალენდარო ვადებს განსაზღვრავს სპეციალური კომისია შემდეგი შედგენილობით: სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე და გლახთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებისა, კოლექტიური მეურნეობისა და სალაროს წარმომადგენელი (თითო).

კოლექტიური მეურნეობის საურთიერთო დახმარების სალარო პასუხს აგებს ლიკვიდირებული გლახთა ურთიერთი დახმარების საზოგადოების ვალდებულებებისათვის მხოლოდ იმ ქონების ფარგლებში, რასაც ამ საზოგადოების ლიკვიდაციის დროს სალარო მიიღებს.

9. იმ სოფელში, სადაც ერთსა და იმავე დროს არსებობს კოლექტიური მეურნეობის საურთიერთო დახმარების სალაროც და გლახთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებაც, ამ უკანასკნელის მოვალეობას შეადგენს მომსახურება გაუწიოს ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომლებიც წევრნი არიან გლახთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებისა. ამისდა შესაბამისად ორმაგი წევრობა—კოლექტიური მეურნეობის საურთიერთო დახმარების სალაროსიც და გლახთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებისაც—არ შეიძლება.

10. სასოფლო საბჭოს ეკისრება უახლოესი ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს კოლექტიური მეურნეობის საურთიერთო დახმარების სალაროს მოქმედებას.

რადგანაც საურთიერთო დახმარების წარმატებით განვითარება კოლექტიური მეურნეობებში შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური მეურნეობების წევრთა ფართო თვითმოქმედების საფუძველზე, სასოფლო საბჭოებმა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებმა უნდა უზრუნველყონ კოლექტიური მეურნეობების წევრთა ფართო ჩაბმა სალაროების მუშაობაში, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდობისა.

იმავე დროს თვით სალაროებმა უნდა დაისახონ თავიანთ უახლოეს ამოცანად თავიანთი წევრებისაგან ფართო აქტივის შედგენა.

11. საურთიერთო დახმარების სალაროების მოქმედებისათვის საერთო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ეკისრება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს, რომელნიც ანხორციელებენ ამ მუშაობას ცენტრალური და ადგილობრივი გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტების მეშვეობით.

12. კოლექტიურ მეურნეობათა საურთიერთო დახმარების სალაროებს და მათ დაწესებულებებს სადგომების დაქირავების და საამისო სასყიდლის გადახდისა და კომუნალური მომსახურების გაწევის სფეროში ეძლევათ შეღავათი კოოპერატიული და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის დადგენილი სასყიდლის მონაკლები 50<sup>0</sup>/<sub>6</sub>-ის რაოდენობით.

13. კოლექტიურ მეურნეობათა საურთიერთო დახმარების სალაროები და მათი დაწესებულებები განთავისუფლებულ არიან ყველა სახელმწიფო გადასახადისაგან, ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

14. კოლექტიურ მეურნეობათა საურთიერთო დახმარების სალაროების თანამდებობის პირნი პასუხისმგებლობის სფეროში გათანაბრებულ არიან სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა თანამდებობის პირებთან.

## 161. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების გაუქმების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს:

1) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და საბჭოს 1924 წლის იანვრის 15-ის დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ (კან.კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ.2, გვ.145; 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ.118) კარი 1 და 1931 წ. მე-8 №-ი მუხ. 80);

2) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 18-ის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების, სამანქანო, სამელიორაციო,

სათესლე და სხვა მარტივ სასოფლო-სამეურნეო და აგრეთვე საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობათა წესდების რეგისტრაციის წესის შესახებ (კან. კრ. 1928 წ. 16 №-ი, მუხ. 159);

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 14-ის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სარაიონო კავშირებისადმი დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. 29 №-ი, მუხ. 357).

სრ საქ. ც. ა. კ.-ის. თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმ. გრ. კუაჭიძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრაია.

1932 წ. ივლისის 22  
ტფილისი.

## ვაჭრობა. მომარაგება

### 162. დადგენილება ს. კ. ს.

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხაზით დამზადებელი ორგანოების კონვენციების მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეცენტრალიზებული წესით დამზადებელი სახელმწიფო, კოოპერატიული და განსაზოგადოებული სექტორის სხვა ორგანიზაციების მოქმედების გასაერთიანებლად მოეწყოს დამზადებელთა კონვენციები: ა) ხორცისა, ბ) ხილ-ბოსტნეულისა და ღვინისა და გ) რძე-კარაქის პროდუქციისა და მეფორინველეობის პროდუქციის დამზადების ხაზით.

აღნიშნული კონვენციები მოეწყოს: 1) რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში და 2) სარაიონო—სოფლის მეურნეობის ზემოაღნიშნული პროდუქტების დამზადების ძირითად რაიონებში.

**შენიშვნა.** უკეთეს დამზადებათა იმ რაიონებში, სადაც დამზადებელთა ცალკეული კონვენციების მოწყობა მიზანშეწონილად არ იქნა ცნობილი, სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც ამტკიცებს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში, შეიძლება მოეწყოს ამ რაიონის ტერიტორიაზე დასამზადებელი ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დამზადებისათვის ერთი საერთო კონვენცია.

2. ზემოაღნიშნული კონვენციები მოქმედობენ რესპუბლიკანური—დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით, ხოლო

სარაიონო — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით.

კონვენციებში წარმომადგენლობის უფლების მქონე ორგანიზაციებს განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

3. დამზადებელთა კონვენციის საგამგებლო საგანს შეადგენს:

ა) დააწესოს, დამზადების ბაზარზე აქტიუტაჟის თავიდან ასაცილებლად, ყველა დამზადებლისათვის სავალდებულო საკონვენციო ფასები (ზღვრული) სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებზე, რაც მზადდება დეცენტრალიზებული წესით;

ბ) დაარაიონოს დამზადებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეცენტრალიზებული წესით დამზადებულ ცალკეულ ორგანიზაციებს შორის;

გ) დააწესოს კონდიციები დეცენტრალიზებული წესით დასამზადებელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე იმ ობიექტების ხაზით, რომელთათვისაც საკონდიციო პირობები განსაზღვრული არ არის სტანდარტებით ან შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის დადგენილებებით;

დ) დააწესოს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საორგანიზაციო და ზედნადები ხარჯების ლიმიტები იმ შემთხვევაში, როდესაც დამზადება სწარმოებს გაყიდვა-მიწოდებისა ან საკომისიო ხელშეკრულების საფუძველზე;

ე) აწარმოოს დამზადებათა აღნუსხვა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დადგენილი ფორმით.

4. მიეცეს დამზადებელთა კონვენციებს უფლება დაადვან შემდეგი გადასახდელი დამზადებელ ორგანიზაციებს, რომლებიც არღვევენ დამზადებისათვის დადგენილ წესებს:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა არა უმეტეს 1.000 მანეთისა;

ბ) დამზადებისაგან მოხსნა.

„ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული გადასახდელი აღსრულებულ უნდა იქნეს მხოლოდ მის შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

შენიშვნა. ჯარიმის თანხებს ეძლევა მიზნობრივი დანიშნულება დამზადებელთა სათანადო რესპუბლიკანური კონვენციის დადგენილებით, რასაც ამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

5. ის დამზადებელი ორგანიზაციები, რომელთაც ჰყავთ კონვენციებში თავიანთი წარმომადგენელი, მოვალენი არიან რეგულარული ანგარიში ურდგინონ კონვენციას.



6. დამზადებელთა კონვენციის დადგენილება შეუძლიან გაუქმოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, ხოლო სარაიონო კონვენციის დადგენილება, ამის გარდა, აგრეთვე დამზადებელთა რესპუბლიკანურ კონვენციას.

7. დამზადებელთა კონვენციების აპარატის შესანახ ხარჯს გაიღებენ ის ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებიც შედიან კონვენციის შედგენილებაში, ისეთი რაოდენობით და წესით, რასაც დაადგენს სათანადო რესპუბლიკანური კონვენცია და დაამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

8. დამზადებელთა კონვენციების მოქმედების დაწვრილებითი წესი განისაზღვრება ამ კონვენციების დებულებებით, რასაც ამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

9. დაეკისროს ხილ-ბოსტნეულის დამზადებელთა კონვენციას, ხილ-ბოსტნეულის დეცენტრალიზებული წესით დამზადების ფუნქციების გარდა (მუხ.3), აგრეთვე მტკიცე სადამზადებლო ფასების დაწესება ადრეულა ხილ-ბოსტნეულზე, რის დამზადებასაც აწარმოებენ სათანადო ორგანიზაციები ცენტრალიზებული წესით.

ამასთან დაკავშირებით გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილება „ხილბოსტნეულის სადამზადებლო ფასების მოწესრიგებისათვის საკონვენციო ბიუროებისა და საკოტირო კომისიების მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 101).

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს. თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი რ. შიშახია.

1932 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

### 163. დადგენილება ს.კ.ს.

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ვაჭრობის შესახებ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის ივლისის 2-ის დადგენილების (გაზ- „ზარია ვოსტოკა“ № 164 1932 წ.) 1-ლი და მე-6 მუხლების შესაბამისად და კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა ვაჭრობის გასაშლელად საკირო ღონისძიებების შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 28-ის დადგენილების (კან. კრ. 1932 წ. 13 №-ი, მუხ. 100) დასაბამებლად და განსავითარებლად, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:



წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

1) დაუყოვნებლივ გამოაყონ მიწის ნაკვეთები საკოლმეურნეო ბაზრებისათვის და აგრეთვე სადგომები საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ვაჭრობისათვის; ამასთანავე იხმარონ ღონისძიებანი, რათა ბაზრები და სადგომები პირველ ხანებში უზრუნველყოფილ იქნეს მარტივი მოწყობილობით (ფარდული, მაგიდა, სასწორი, დანა და სხვ.);

2) მოაწყონ ბაზარზე მოსულ კოლმეურნეობათა წარმომადგენლებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მომსახურება (ბაკი, საჩაიე, სავეტერინარო პუნქტი, საპარიკმახერო, კიოსკი ლიტერატურისათვის და სხვ.);

3) შემოიღონ სისტემა სპეციალური ბაზრების მოწყობისა მსხვილ საწარმოებთან და იარაღებთან ქალაქებსა და რაიონებში;

4) იხმარონ ღონისძიებანი, რათა არ იქნეს შექმნილი რაიმე დაბრკოლება კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისათვის მათ მიერ თავიანთი წარმოების პროდუქციის გადაზიდვის დროს როგორც ერთი რაიონიდან მეორეში, ისე რესპუბლიკებს შორის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივლისის 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 179 №-ში 1932 წ. აგვისტოს 3.

**164. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

**„სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

მოქმედების ვადა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილებისა „სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ხაზით სადებიტორო დავალიანების დაფარვის ღონისძიებათა შესახებ“ შემდგომი ცვლილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი მუხ. 103 და 104) განგრძობილ იქნეს 1932 წ. სექტემბრის 1-დე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მოადგ. ვ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 177 №-ში 1932 წ. აგვისტოს 1.

## ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი

### 165. დადგენილება ს.კ.ს.

„სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან) არსებული საგზაო სამეულებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მშენებლობის საპერსპექტივო და ოპერატიული გეგმების შედგენისა და მსვლელობის წესის დებულების“ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 20-ის დადგენილებით დამტკიცებული „სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან (ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქში—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან) არსებული საგზაო სამეულების და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მშენებლობის საპერსპექტივო და ოპერატიული გეგმების შედგენისა და მსვლელობის წესის დებულება“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 79) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივნისის 23.

ტფილისი.

## კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ა

### 166. დადგენილება ს.კ.ს.

საფოხტო კავშირგაბმულობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მოისმინა-რა კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) მოხსენება, სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს ზოგიერთ წარმატებას სახალხო კავშირგაბმულობის სფეროში (ფოსტა-ტელეგრაფის ქვედა საწარმოთა ქსელის თვალსაჩინოდ გადიდება, ფოსტის მიერ მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის ტერიტორიალურად გაფართოება, უშტატო სააგენტოების განვითარება). მაინც სახალხო კავშირგაბმულობის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში არც რაოდენობით, არც თვისებით არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის განვითარებისა, სოციალისტური მშენებლობისა, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის სწრაფ ტემპებს და მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდას საფოხტო გზაწინააღმდეგობის (ზშირი შემთხვევები, მეტისმეტად დაყოვნებით და არანიშანდობლივ ფოსტისა და დებეშების ჩაბარება თვით ქალაქის ფარგლებშია-კი, კორესპონდენციის არავადაზე დარიგება, სუსტი მუშაობა შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის და სხვა მისთ.).

ეს აიხსნება ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, სახალხო კავშირგაბმულობის ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა შორის სოციალისტური შეჯიბრის სუსტი განვითარებით, გაუპიროვნების არსებობით, მოსახლეობის ფართო მასების მიერ საზოგადოებრივი კონტროლის გაუწყველობით, აგრეთვე სახალხო კავშირგაბმულობის უდიდესი მნიშვნელობის შეუფასებლობით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრით, რომელნიც საკმარის ყურადღებას არ აქცევენ ფოსტა-ტელეგრაფის მიერ ადგილებისათვის მომსახურეობის გაწევის საქმის გაუმჯობესებას.

ამისდამიხედვით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიიღონ თავიანთი სახსრით მონაწილეობა რაიონების შიგნით ფოსტის გადაზიდვის ხარჯებში ორმოცდაათი პროცენტის რაოდენობით, რისთვისაც გაითვალისწინონ თავიანთ ბიუჯეტში სათანადო სახსარი;

ბ) მიუჩინონ გადაზიდვის საშუალებანი პირველ რიგში კავშირგაბმულობის ორგანოებს იმ საშენი მასალის გადასაზიდად, რაც დანიშნულია კავშირგაბმულობის მშენებლობისათვის.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო ტრესტს—იხმაროს ღონისძიება ტელეგრაფის ბოძებით პირველ რიგში კავშირგაბმულობის მშენებლობის უზრუნველყოფისათვის.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ერთი თვის ვადაზე შემდეგი ღონისძიებანი:

ა) შეიძულონ, კავშირგაბმულობის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით, და დაამტკიცონ სოფლებთან, კოლექტიურ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან საფოსტო კავშირგაბმულობის განვითარებისა და გაუმჯობესების გეგმა და გაითვალისწინონ საფოსტო სააგენტოების გახსნა სასოფლო საბჭოებთან, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან;

ბ) განახორციელონ ისეთი ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს სარაიონო ცენტრიდან სოფლებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის გაზეთებისა და საფოსტო გზავნილების მიწოდებას ისეთი ვარაუდით, რომ ეს გაზეთები და გზავნილები მიღებულ და დარიგებულ იქნეს გლეხთა კომლებისათვის ორი დღის განმავლობაში, ხოლო შორეულ სოფლებში არა უგვიანეს სამი დღისა;

გ) მისცენ ტრანსპორტი სარაიონო ცენტრიდან ფოსტისა და გაზეთების გადაზიდვისათვის სასოფლო საბჭოებამდე, კოლმეურნეობებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებამდე და აგრეთვე სარაიონო ცენტრიდან ფოსტის გადაზიდვისათვის სარკინისგზო სადგურებამდე და სხვა შესაფერ პუნქტებამდე. საქართველოს სსრ რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრებში გასაგზავნად ტრანსპორ-

ტისათვის სასყიდელი ვადებულ უნდა იქნეს კავშირგაბმულობის ადგილობრივი ორგანოების ხარჯთაღრიცხვებით განსაზღვრული მტკიცე ფასების მიხედვით;

დ) მიუჩინონ საფოსტო განყოფილებებსა და სააგენტოებს საჭირო სადგომები, რაც უზრუნველყოფს საფოსტო კორესპონდენციისა, ფასეულობისა და ფულადი თანხების სიმიედო შენახვას;

გ) გადასცენ კავშირგაბმულობის ადგილობრივ ორგანოებს ის სატრანსპორტო საშუალებანი, ფულადი სახსარი და სადგომები, რასაც ცალკეული დაწესებულებანი იყენებენ პარალელური ფოსტისათვის;

ვ) მიამაგრონ ეს მომუშავენი საფოსტო მუშაობაზე გაუპიროვნების თავიდან აცილების მიზნით და დაუქვემდებარონ ისინი სამსახურის მხრით კავშირგაბმულობის ორგანოებს; თანაც დამყარებულ უნდა იქნეს პირადი პასუხისმგებლობა მინდობილი ფოსტისა და ფასეულობის დაცვისათვის და აგრეთვე საფოსტო წესების დარღვევისათვის;

ზ) იმ სოფლებში, სადაც სასოფლო ყუთები არ არსებობს, შემოიღონ ეს ყუთები კავშირგაბმულობის უწყების მიერ დადგენილი სახის მიხედვით; საამისოდ საჭირო სახსარი შეიკრიფოს თვითდაბეგვრის წესით; აგრეთვე შემოიღონ საფოსტო ნიშნების გაყიდვა.

4. დაევალოს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) განიხილონ და დაამტკიცონ გაზეთებისა და საფოსტო გზაწილების მიწოდების საკონტროლო ვადები ისეთი ვარაუდით, რომ ის ვადა, რაც საჭიროა გამგზავნელისაგან მიმღებლამდე გაზეთებისა და წერილების გაგზავნა-ჩაბარების მუშაობისათვის, არ აღემატებოდეს ორ დღე-ღამეს, გარდა გაგზავნის ადგილიდან მიღების ადგილამდე ტრანსპორტის მსვლელობისათვის საჭირო დროისა; დაამყარონ საფოსტო დაწესებულებების აღმინისტრაციის სასტიკი პასუხისმგებლობა ამ საკონტროლო ვადების დარღვევისათვის, ხოლო ფოსტის მზიდველებისათვის, სასყიდლით იქნებიან ისინი თუ უსასყიდლო, —მატერიალური პასუხისმგებლობა ტრანსპორტის მიყენების და ფოსტის გადაზიდვის ვადებისა და მოძრაობის განრიგების დარღვევისათვის;

ბ) ჩაატარონ ორი თვის ვადაზე სარაიონო ცენტრებში ქუჩებისათვის სახელის დაკმევა;

გ) ვალდებულყუნ ქალაქებში სახლის სამოურაონი — დასდგან ორსართულიანზე დიდი სახლებს მთავარ შესავალში სააბონემენტო შტაბები, რათა წერილების დამტარებელთ შეეძლოთ გაზეთებისა და წერილების მიწოდება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

5. დაეკისროს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საბჭოებს პასუხისმგებლობა კავშირგაბმულობის ორგანოების საერთო მდგომარეობისა და მუშაობისათვის და დაევალოს მათ — განიხილონ და დაამტკიცონ ხოლმე კავშირგაბმულობის განყოფილების წლიური და პერსპექტიული გეგმები და აგრეთვე კონტროლი გაუწიონ ამ გეგმების აღსრულებას.

6. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართ. რ. შომახია.

1932 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

## კომუნალური და საბინაო მმართველობა

### 167. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საცხოვრებელი სადგომების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

„საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი (კან.კრ. 1931 წ. 24 №-ი, მუხ. 255) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. საცხოვრებელი ფართობის ნორმა (საბინაო-სასანიტარო ნორმა) ყველა მოქალაქისათვის განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: ტფილისისა, ქუთაისისა და გორში—ათი კვადრატული მეტრი სულზე, ხოლო სხვა ქალაქებში—თორმეტი კვადრატული მეტრი სულზე; იმ სოფლებში, რომლებიც სარაიონო ცენტრებია, საცხოვრებელი ფართობის ნორმის დაწესების უფლება აქვთ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ისე-კი, რომ ეს ნორმები არ აღემატებოდეს რა კვადრატულ მეტრს სულზე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის. თავმჯდომარის მოადგე პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის. მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

### 168. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, მიდგომისა და გაგზავნის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

## I.

1. სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანილ, მიღებულ თუ გაგზავნილ მომუშავეს საცხოვრებელი ფართობი (სხვათა შორის დამატებითი) წინანდელ საცხოვრებელ ადგილას შეენარჩუნება ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მომუშავესთან ერთად ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასულ მის ოჯახს—სამი თვის განმავლობაში, უკეთეს კანონით დადგენილი არ არის უფრო ხანგრძლივი ვადა საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნებისათვის (მუხ. 2).

2. საცხოვრებელი ფართობი (სხვათა შორის დამატებითი) წინანდელ საცხოვრებელ ადგილას შეენარჩუნება:

ა) მომუშავეს, რომელიც, „სსრკ-ის შორეულ ადგილებში და დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების“ მე-3 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 4 №-ი, მუხ. 427), მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის, და იმ მომუშავეს, რომელიც მიკუთვნებულია მეორე ჯგუფისათვის და რომელსაც, ამასთანავე, აქვს შეღავათები:

როდესაც იგი იგზავნება I ზოლის შორეულ ადგილას—სამი წლის განმავლობაში წასვლის დღიდან;

როდესაც იგი იგზავნება მე-II ზოლის შორეულ ადგილას—ორი წლის განმავლობაში წასვლის დღიდან;

ბ) მომუშავეს, რომელიც, იმავე დებულების („ა„ პუნ.) თანახმად მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის, როდესაც იგი იგზავნება სამუშაოდ დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე—ორი წლის განმავლობაში;

გ) მომუშავეს, რომელიც იგზავნება საზღვარგარედ დიპლომატიური საქმიანობისათვის, და იმ სპეციალისტს, რომელიც მიწვეულია სამუშაოდ სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოში და სსრკ-ის სხვა სავაჭრო ორგანიზაციაში საზღვარგარედ—მთლად მივლინების დროის განმავლობაში ან მთლად იმ ხნის განმავლობაში, რა ხნითაც ამ პირთან შრომის ხელშეკრულება დასდვა სსრკ-ის დაწესებულებამ თუ ორგანიზაციამ საზღვარგარედ;

დ) საინჟინერო-სატექნიკო შედგენილობის მომუშავეს (ათის თავის ჩათვლით) და საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალის მომუშავეს, რომელიც მიწვეულია სამუშაოდ სადამკვერლო მშენებლობაზე, რაც ასეთ მშენებლობად ცნობილია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად,—მთლად იმ ხნის განმავლობაში, რასაც მომუშავე დაჰყოფს ამ მშენებლობაზე;

ე) მომუშავეებს, რომელნიც ცალკეულ ობექტებზე მუშაობენ,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნულ მომუშავეთ უფლება აქვთ გადასცენ თავიანთი საცხოვრებელი ფართობი სხვა პირებს მშრომელთა კატეგორიიდან იმ ვადით, რა ვადითაც ეს ფართობი მათ შეენარჩუნებათ.

ამასთანავე, ის სადგომი, რაც დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის სახელშია, უნდა გადაეცეს უპირატესად ამ დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის მომუშავეთ.

4. ის პირი, რომელსაც წარვლინებული მომუშავეის სადგომი უჭირავს, მოვალეა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს იგი იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც საცხოვრებელი ფართობი დატოვებულია მომუშავეისა და მისი ოჯახისათვის, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთუ მომუშავე ან მისი ოჯახი ამ ვადაზე აღრე დაბრუნდა.

ის, ვინც უარს იტყვის სადგომის დაკლავზე, გამოსახლებულ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუტყემლად.

ამავე წესით გამოსახლებულ უნდა იქნეს ის პირი, ვინც წარვლინებული მომუშავეის საცხოვრებელი ფართობი დაიქირა ამა დადგენილების მე-3 მუხლში გათვალისწინებული წესების დარღვევით, იმისდამიუხედავად, თუ რა საფუძვლით იქნა იგი ჩასახლებული.

5. ბინის ქირა და აგრეთვე სასყიდელი კომუნალური მომსახურებისათვის წარვლინებული მომუშავეისა და მისი ოჯახის წევრების არყოფნის დროის განმავლობაში უნდა გადაიხდეს მას, ვისაც საცხოვრებელი ფართობი ფაქტიურად უჭირავს, ამ პირისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით.

უკეთუ მომუშავე დაიტოვებს ბინას სხვა პირის ჩაუსახლებლად (მუხ. 3), ბინის ქირას იგი გადაიხდის წინანდელი ანგარიშით. ვინიცობაა სხვა ადგილას სამუშაოზე გაგზავნის დროს მომუშავე დაქირავებით არ მუშაობდა, ბინის ქირას იგი გადაიხდის იმ სამუშაო ხელფასის მიხედვით, რასაც იგი ბინის ქირის გადახდის მომენტისათვის მიიღებს.

**შინიშვნა.** უკეთუ ის მომუშავე, რომელიც „სსრკ-ის შორეულ ადგილებში და დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების“ მე-3 მუხლის თანახმად (სსრკ კან კრ. 1930 წ. 41 №-ი, მუხ. 427), მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის, ან ის მომუშავე, რომელიც მიკუთვნებულია მეორე ჯგუფისათვის და რომელსაც აქვს შეღავათები, სამსახურში შესვლის დროს დაქირავებით არ მუშაობდა, ბინის ქირა მას გადაიხდება, უკეთუ იგი სამსახურში I ზოლის შორეულ ადგილას შევიდა, — იმ სამუშაო ხელფასის 50%-ის ანგარიშით, რასაც იგი ბინის ქირის გადახდის მომენტისათვის მიიღებს, ხოლო უკეთუ იგი სამსახურში მე-II ზოლის შორეულ ადგილას შევიდა, — ამ სამუშაო ხელფასის 75%-ის ანგარიშით. ის მომუშავე, რომელიც, იმავე დებულების თანახმად, მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის და წინად დაქირავებით არ უმუშაენია, უკეთუ იგი სამსახურში დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე მდებარე ადგილას შევიდა, ბინის ქირას წინანდელ საცხოვრებელ ადგილას გადაიხდის იმ სამუშაო ხელფასის 75%-ის ანგარიშით, რასაც იგი ბინის ქირის გადახდის მომენტისათვის მიიღებს.

6. უკეთუ წარვლინებულმა მომუშავემ, რაიმე მიზეზის გამო, დაკარგა საცხოვრებელი ფართობი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, საქალაქო საბჭო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა მისცეს მას საცხოვრებელი ფართობი.



7. კომუნალური განყოფილება მოვალეა მისცეს წარვლინებულ მომუშავეებს მოწმობა, რომ მას დატოვებული აქვს საცხოვრებელი ფართობის უფლება.

მოწმობა გაიცემა მომუშავეის სამუშაოზე წარმავლინებელი დაწესებულებისათვის საწარმოს ცნობის თანახმად, რომელშიაც აღინიშნება—სად და რა სამუშაოზე იგზავნება მომუშავე.

წარვლინების ადგილას წარვლინებული მომუშავე პირის მუშაობის დამთავრებისას წარმავლინებელმა დაწესებულებამ თუ საწარმომ უნდა აცნობოს მოწმობის გამცემ კომუნალურ განყოფილებას მომუშავეის სამუშაოდან დათხოვნის დრო.

8. უკეთეს მომუშავე წარვლინების ადგილას სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ სამი თვის განმავლობაში არ დაბრუნდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, სადაც მას შენარჩუნებული აქვს საცხოვრებელი ფართობის უფლება, და არ მოითხოვია ამ ფართობის განთავისუფლება, საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების უფლება ისპობა, ვაცემული მოწმობა ძალასა ჰკარგავს და სათანადო სახლის სამოურაოს უფლება აქვს გამოასახლოს ის პირი, ვისაც ეს საცხოვრებელი ფართობი უჭირავს (მუხ. 3), ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

9. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება როგორც განსაზოგადოებული სექტორისა, ისე კერძო მფლობელობის ყველა სახლზე, გარდა იმ სახლებისა, რომლებზედაც ვრცელდება მეაღნაგეთათვის დაწესებული უფლებები, და აგრეთვე გარდა სამანევრო ფონდის სადგომებისა, სასტუმროებისა და საერთო საცხოვრებლებისა.

## II.

ამა დადგენილების გამოცემისათანვე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილება „სახლდარგარედ მომქმედ დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 104 და 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 209);

2) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 29-ის დადგენილება „მაგნიტოგორსკისა, კუზნეცკისა, პეტროვსკის (ზაბაიკალიე) და ნოვოტაგაილის სამეტალურგო ქარხნებისა და აგრეთვე დნეპროკომბინატის მშენებლობაში მონაწილე საინჟინერო-სატექნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალისათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 111), იმ ნაწილის გარდა, რაც ეხება პეტროვსკის (ზაბაიკალიე) სამეტალურგო ქარხნის მშენებლობაში მონაწილე პერსონალისათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნებას;

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილება „დამკვრელ მშენებლობაში სამუშაოდ გამოყენებული საინჟინერო-სატექნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო მომუშავეებისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 222);

4) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 24-ის დადგენილება „სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში მუდმივ სამუშაოდ წარგზავნილი კვალიფიციური მუშებისა და საინჟინერო-სატექნიკო პერსონალისათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების შესახებ“ (კან. კრ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 236).

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. კუჭაიძე.

საქ სსრ ს. კ. ს. -ის თავმჯდომარე გ. მაღალბლიზვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. ივლისის 22.

ტფილისი.

### 169. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ ხაზრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების 4<sup>1</sup> და 12 მუხლით შევსებისა და ამავე დებულების მე-5 მუხლის შენიშვნის ამოშლას შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულებაში (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის დანართი), რაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 25-ის თარიღის და 76 №-ის დადგენილებით (კან. კრ. 1928 წ. 15 №-ი, მუხ. 143), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. დაემატოს 4<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„4<sup>1</sup>. სხვა პირისათვის საცხოვრებელი ფართობის გადაცემა იმ მომუშავეს მიერ, რომელიც თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს დატოვებს სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, ახლად მიღებისა და გაგზავნის ვამო, იმ ვადით, რა ვადითაც ეს ფართობი აღნიშნულ მომუშავეს შენარჩუნება, მოწესრიგდება განსაკუთრებული კანონით.

იმ პირთა გამოსახლება, რომელთაც უჭირავთ საცხოვრებელი ფართობი, რაც მათ მიეცა იმ ვადით, რა ვადითაც ზემოაღნიშნულ მომუშავეს ეს ფართობი შენარჩუნება, მოხდება, უკეთეს წასული მომუშავესათვის საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების ვადა გავიდა ან იგი ამ ვადის გასვლამდე დაბრუნდა, საადმინისტრაციო წესით“.

2. დაემატოს 12 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„12. სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანილი, მიღებული ან გაგზავნილი მომუშავესათვის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნება მოწესრიგდება განსაკუთრებული კანონით“.

3. მე-5 მუხლის შენიშვნა (კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 31) ამოღებულია.  
 შალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ.დ.ა. ვ. ქურდაძე.

1932 წ. აგვისტოს 22.

ტფილისი.

## 170. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

დაქერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე გამოცემული დეკრეტისათვის მე-2 მუხლის „ლ“ და „მ“ პუნქტების და 12-მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 20-ის დეკრეტს დაქერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ (კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 82; 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 102) დამატოს მე-2 მუხლის „ლ“ და „მ“ პუნქტები და 12-<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

1. [2. ადმინისტრაციული წესით გამოსახლება გამოსახლებულისათვის თავისუფალი საცხოვრებელი სივრცის მიუცემლად შეიძლება ყოველ ქამს წლის განმავლობაში:...] ]

„ლ) სადგომიდან, რასაც, კანონით დადგენილი პირობების დაცვით, გადასცემს სხვა მშრომელს ის მომუშავე, რომელმაც სხვა ადგილას გადაყვანასთან, სამუშაოზე მიღებასთან ან სამუშაოზე წარგზავნასთან დაკავშირებით, დასტოვა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო რომელსაც შენარჩუნებული აქვს უფლება საცხოვრებელ ფართობზე წინანდელ საცხოვრებელ ადგილას, — უკეთეს მომუშავე დაბრუნდა იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც მას შენარჩუნებული ჰქონდა უფლება საცხოვრებელ ფართობზე, ან და ეს ვადა გავიდა;

მ) სადგომიდან, რაც ეკუთვნოდა იმ მომუშავეს, რომელმაც სხვა ადგილას გადაყვანასთან, სამუშაოზე მიღებასთან ან სამუშაოზე წარგზავნასთან დაკავშირებით, დასტოვა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო რომელსაც შენარჩუნებული აქვს უფლება საცხოვრებელ ფართობზე წინანდელ საცხოვრებელ ადგილას, — ის პირნი, რომელთაც დაიჭირეს სადგომი არსებული წესების დარღვევით.“

2. „12-<sup>1</sup>. სათავდაცვო მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო მრეწველობის საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე სადგომიდან გამოსახლება იმ პირისა, რომელსაც ამ საწარმოსთან კავშირი არა აქვს ან რომელმაც მასთან კავშირი და-

კარგა, მოხდება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 13-ის დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 60 №-ი, მუხ. 387); ამასთანავე, აღნიშნული დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ფართობი უნდა მიეცეს იმ პირთ, რომელნიც აღნიშნულ არიან ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოცემულ განსაკუთრებულ ნუსხაში.“

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივნისის 22.

ტფილისი.

### 171. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ის დადგენილების 29-34 მუხლების გაუქმების შესახებ.

„მუნიციპალიზებულ სახლებში კანცელარიისა და სხვა არასავაჭრო და არასამრეწველო საქიროებისათვის დაქირავებული სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემულ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

29—34 მუხლები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ივლისის 4-ის დადგენილებისა „ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 98) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომ. მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 2.

ტფილისი.

## 172. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-8 დი მე-9 მუხლების შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის 8-<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 2-ის დადგენილებაში (კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 202) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-8 მუხლი (კან. კრ. 1930 წ. 14 №-ი, მუხ. 210) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. პროფესიონალური კავშირის უმუშევარი წევრისათვის ან იმისათვის, ვისაც აქვს უფლება მიიღოს დახმარება უმუშევრობის გამო, აგრეთვე ვადიანი (განუწყვეტელი) სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმჯდომთა შედგენილობის სამხედრო მსახურის ოჯახისათვის, უკეთუ ოჯახის შედგენილობაში არ არის ისეთი პირი, რომელსაც მუდმივი დამოუკიდებელი საშოვარი აქვს, ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება ამა დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტში გათვალისწინებული ტარიფით“.

2. მე-8 მუხლის 1-ლი შენიშვნა (კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 202) ამოიშალოს.

3. დაემატოს მუხ. 8-<sup>1</sup> შემდეგი შინაარსისა:

„8-<sup>1</sup>. სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლე, რომელიც იღებს სახელმწიფო სტიპენდიას ან რომელიც სამსახურშია, ბინის ქირას გადაიხდის მუშა-მოსამსახურეების თანაბრად სტიპენდიის ან სამუშაო ხელფასის მიხედვით.

უკეთუ მოსწავლე არ იღებს სტიპენდიას ან სამუშაო ხელფასს, ვისიმე რჩენაზე არ იმყოფება და ცალკე ცხოვრობს, იგი საცხოვრებელი ფართობის ქირას გადაიხდის 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანოების მიერ დადგენილი ტარიფით, მაგრამ არა უმეტეს 20 კაპიკისა თვეში 1 კვ. მეტრზე ქ. ტფილისში და 15 კაპიკისა—დანარჩენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, ხოლო ვისიმე რჩენაზე მყოფი მოსწავლე ქირას გადაიხდის ამა დადგენილების 15 მუხლში აღნიშნული წესისამებრ“.

4. მე-9 მუხლი (კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 202) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. სახელმწიფო პენსიონერი და სოციალურ უზრუნველყოფაზე ანტიტრადიციული ალურ დაზღვევაზე მყოფი პირი ბინის ქირას გადაიხდის, როგორც მუშა-მოსამსახურე, პენსიის ან დახმარების რაოდენობის შესაბამისად.“

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. დ. ა. ვ. ქურდაძე.

1932 წ. აგვისტოს 22.

ტფილისი.

### 173. დადგენილება ს.ბ.ს.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში ცხოვრებისათვის გადასახდევინებელი სასყიდლის შესახებ.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში შესახად საჭირო სახსრის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უმაღლესი სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში მცხოვრები მოსწავლენი ამ სასწავლებლისა იხდიან ყოველთვიურად იქ სამყოფელ სასყიდელს (საცხოვრებელი ფართობის და ინვენტარის გამოყენებისა და კომუნალური და სხვა მომსახურებისათვის) იმის მიხედვით, თუ რა სტიპენდიას ან რა სამუშაო ხელფასს იღებენ:

როდესაც სტიპენდია ან სამუშაო ხელფასი თვეში:

60 მანეთამდე (ჩართვით)—ამ თანხის 3<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ის რაოდენობით;

60 მანეთზე მეტია 100 მანეთამდე (ჩართვით)—4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ის რაოდენობით;

100 მანეთზე მეტია—5<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ის რაოდენობით.

2. იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც სტიპენდიას არ იღებენ და რომელთაც დამოუკიდებელი სამუშაო საშოვარი არა აქვთ, სასყიდლის რაოდენობას საერთო საცხოვრებლის სარგებლობისათვის აწესებს საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაცია, ხოლო არა უმეტეს იმ პირთა განაკვეთისა, რომელნიც სტიპენდიას თუ სამუშაო ხელფასის სახით იღებენ თვეში 130 მან.

3. სასყიდელი საერთო საცხოვრებლის სარგებლობისათვის არ გადაიხდევინება იმ დროის განმავლობაში, როდესაც მოსწავლე საწარმოო პრაქტიკაზეა საერთო საცხოვრებლის სამყოფელი ადგილის გარეშე.

4. საერთო საცხოვრებლის სარგებლობისათვის გადასახდევინებელი სასყიდელი იმ პირს, ვინც სტიპენდიას არ იღებს, დაეჭირება სათანადო თანხის რაოდენობით მისაცემი სტიპენდიიდან.

იმ პირს, ვინც სტიპენდიას არ იღებს, სასყიდელს ახდევინებს საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაცია.

5. საერთო საცხოვრებლის სარგებლობისათვის გადახდევინებული სასყიდლის თანხები ჩაირიცხება სათანადო სასწავლებლების სპეციალურ სახსარში და

იხარჯება მარტოდენ საერთო საცხოვრებლების შესანახად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ“ 1931 წლის აპრილის 27-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141).

6. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1932 წ. სექტემბრის 1-დან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივლისის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გვ. „კომუნისტის“ 171 №-ში 1932 წ. ივლისის 24.

## კ რ ე დ ი ტ ი

### 174. დადგენილება ს.კ.ს.

**სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 26-ის დადგენილების შესაბამისად, რომელი დადგენილებითაც შეცვლილია მისივე 1931 წ. იანვრის 3-ის დადგენილება „სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდების შესახებ“ (ოქმი № 171, § 4) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 5-ის დადგენილებაში „სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 353) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. სათაური, შესავალი ნაწილი და 1, 2 და 3 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

**„სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდების შესახებ“.**

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს“.

„1. სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის განვითარებისათვის ხელშესაწყობად არსდება სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდები:

ა) რესპუბლიკანური—სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორასთან და

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ფონდებში სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის სათანადო განყოფილებებთან და კონტორებთან.

„2. სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდებში ჩაირიცხება:

ა. დაუბრუნებელი ხასიათის შემოსავალი:

ა) ყოველწლიური ასიგნები საქართველოს სსრ ბიუჯეტით;

ბ) სახელმწიფო დაზღვევის მოგების ყოველწლიური ანარიცხების ის ნაწილი, რასაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო გამოპყობს ცეცხლმძლე და სეისმომძლე ფონდებისათვის;

გ) სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური (საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკების) და საოლქო ცენტრების მოგების ყოველწლიური 5-პროცენტის ანარიცხი;

დ) სხვა წყაროების შემოსავალი, რომელი წყაროებიც შეიძლება განსაზღვრულ იქნეს საქართველოს მთავრობის ან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობათა განსაკუთრებული დადგენილებებით ამ საგანზე;

ბ. დასაბრუნებელი ხასიათის შემოსავალი:

ა) რესპუბლიკანურ ფონდში—გრძელვადიანი სესხი, რაც გაიცემა სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის განვითარების ხელშემწყობი საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის ფონდებიდან;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ფონდებში—გრძელვადიანი სესხი, რაც გაიცემა საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკანური ფონდიდან“.

„3. მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოგების ანარიცხებს სათანადო დაწესებულებები და ორგანიზაციები შეიტანენ ფონდებში, ამ ფონდების შენახვის აღდგენის მიხედვით—სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორაში ან ამა თუ იმ განყოფილებაში ან და კონტორაში—არა უგვიანეს ორი კვირისა მათი ბალანსების დამტკიცების შემდეგ“.

(მე-3 მუხლის შენიშვნა დატოვებულ იქნეს წინანდელი რედაქციით).

2. მე-4 მუხლში სიტყვა „ფონდიდან“ შეიცვალოს სიტყვად „ფონდებიდან“ და სიტყვები „სარაიონო-საკრედიტო კავშირებს გრძელვადიან სესხად“ შეიცვალოს სიტყვებად „სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის სარაიონო სააგენტოებს“.

3. დამატოს მე-4<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„4<sup>1</sup>. ფონდების ადმინისტრირება და განაწილება და აგრეთვე ანარიცხების გადიდებისათვის მეთვალყურეობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ცენტრს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო შენაერთებს—კუთვნილებისამებრ“.

4. მე-11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:



„11. სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმოძლე მშენებლობის ფონდების კვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ მთავრობის ან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობათა (კუთვნილები-სამებრ) განსაკუთრებული დადგენილებით“.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

### 175. დადგენილება ს.კ.ს.

საქრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა ძირითადი და სპეციალური კაპიტალების გაძლიერებისათვის სესხის გაცემის მიზნით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თავიანთი ბიუჯეტებიდან სახსრის გამოყოფის თაობაზე გამოცემული დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 26-ის დადგენილება „ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თავიანთი ბიუჯეტებიდან სახსრის გამოყოფის შესახებ საქრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა ძირითადი და სპეციალური კაპიტალების გაძლიერებისათვის სესხის გასაცემად“ (კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 100) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივნისის 23.

ტფილისი.

## სოციალურ-კულტურული წყობილება

### 176. დადგენილება ს.კ.ს.

საშეცნიერო მომუშავეთა ნომენკლატურისა და საშეცნიერო თანამდებობათა დაქერის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში დაწესებული პროფესორის, დოცენტის, ასისტენტის და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლის (ლაბორანტი, პრეპარატორი და სხვ.) თანამდებობა, ხოლო სამეცნიერო საკლავო ინსტრუქტორებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში—სამეცნიერო ხელმძღვანელის, უფროსი სამეცნიერო თანამშრომლის და უმცროსი სამეცნიერო თანამშრომლის თანამდებობა.

2. წინა მუხლში ჩამოთვლილი თვითეული კატეგორიის სამეცნიერო მუშავეთა მუშაობის ფარგალი და მოცულობა განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით.

3. სამეცნიერო მომუშავეთა სათანადოდ შერჩევისა და სამეცნიერო თანამდებობათა სწორედ დაკერის მიზნით, მოეწყობა განათლების სახალხო კომისარიატთან ცენტრალური საკვალიფიკაციო კომისია, ხოლო იმ სახალხო კომისარიატებთან, რომელთა გამგებლობაშია ც არიან ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებანი, — საუწყებო საკვალიფიკაციო კომისიები სათანადო უმაღლესი სასწავლებლებისა, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. ცენტრალურ საკვალიფიკაციო კომისიის დაეკისრება: ა) შეიმუშაოს დებულება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ სამეცნიერო თანამდებობათა შესახებ და სისწორით განსაზღვროს ყველა ის მოთხოვნა, რასაც ეს თანამდებობანი უნდა აკმაყოფილებდნენ (მუხ. 2); ბ) შეარჩიოს და დაამტკიცოს სამეცნიერო მომუშავე პროფესორის და დოცენტის (უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში), სამეცნიერო ხელმძღვანელის და უფროსი სამეცნიერო თანამშრომლის (სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში) თანამდებობაზე, დაწესებულებათათვის დამტკიცებული შტატების თანახმად და გ) გადასინჯოს პროფესორების, დოცენტების, სამეცნიერო ხელმძღვანელების და უფროსი სამეცნიერო თანამშრომლების არსებული შედგენილობა; ამასთანავე კომისიას უფლება აქვს გადააყენოს თანამდებობიდან აღნიშნული პირნი და აგრეთვე მიაკუთვნოს მათ უფრო მაღალი ან დაბალი ნომენკლატურა.

5. ყველა სხვა თანამდებობაზე (ასისტენტი, უმცროსი სამეცნიერო თანამშრომელი, ლაბორანტი, პრეპარატორი და სხვ.) მომუშავეებს დანიშნავს ამა თუ იმ დაწესებულების დირექცია.

6. სახალხო კომისარიატებთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიებს დაეკისრებათ წინასწარ განიხილონ საკითხი, თუ რამდენად შეეფერება ესა თუ ის კანდიდატი ამა თუ იმ სამეცნიერო თანამდებობას, და წარუდგინონ სათანადო მასალა, თავიანთი დასკვნითურთ, ცენტრალურ საკვალიფიკაციო კომისიას.

**შენიშვნა.** კანდიდატს სამეცნიერო თანამდებობისათვის დასახელებს კათედრა (განყოფილება, სექტორი) ან უწყებულო დაწესებულების დირექცია.

7. თვითეული სამეცნიერო მომუშავეს შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი მომზადება, იდეოლოგიური სიმტკიცე, სამეცნიერო-პედაგოგიური, სამეცნიერო-საკვლევო და სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობა, ლიტერატურული პროდუქციის რაოდენობა და თვისება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა.

საქ. სსრ ს.კ.-ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.-ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 198 №-ში 1932 წ. აგვისტოს 26.

## 177. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საკურორტო მშენებლობის განხორციელების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო კურორტებზე ყველა სამშენებლო სამუშაოს პროექტირება და წარმოება თავმოყრილ იქნეს სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „საქკურორტმშენში“.

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე სამშენებლო სამუშაოთა პროექტირებას და წარმოებას ანხორციელებს სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „საქკურორტმშენი“ ადგილობრივ საბჭოებთან შეთანხმებით (ნარდად მუშაობის ხელშეკრულების საფუძველზე).

შენიშვნა. ამა დადგენილების გამოცემაზე დაწყებული საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები შეიძლება დაამთავრონ სათანადო სამშენებლო ორგანიზაციებმა.

2. პროექტების განხილვას და საბოლოო დამტკიცებას რესპუბლიკანური ორგანოებისათვის საკურორტო მშენებლობის ხაზით დაწესებული ლიმიტების ფარგლებში და აგრეთვე ამ მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიურ ნორმირებას აწარმოებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სათანადო წესებისა და ინსტრუქციების თანახმად.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივნისის 23.

ტფილისი.

## 178. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

იმ არტელების წევრთა შედგავთების შესახებ, რომელთაც ღარიბ ებრაელთა სრულიად საქართველოს კომიტეტი აერთიანებს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გავრცელებულ იქნეს იმ არტელების წევრებზე, რომელთაც ღარიბ ებრაელთა სრულიად საქართველოს კომიტეტი აერთიანებს, კანონმდებლობით გათვალისწინებული შედგავთები საცხოვრებელი ფართობის ქირისა, განათლებისა და საბინაო და სამომხმარებლო კოოპერაციაში შესვლის სფეროში, რაც მინიჭებული აქვს სარეწაო კოოპერაციის სისტემის არტელების წევრებს.

2. ნება მიეცეს ღარიბ ებრაელთა სრულიად საქართველოს კომიტეტს მოაწყოს იმ არტელების წევრთათვის, რომელთაც იგი აერთიანებს, ურთიერთ დახმარების სალაროები სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დახმარების სალაროების დებულებით დადგენილ საფუძველზე და იმ ფუნქციებით, რაც გათვალისწინებულ

№ 20  
საქართველოს  
კომისარია

ლია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს კომისარიათა საბჭოს 1932 წლის აპრილის 7-ის დადგენილებაში „შინამრეწველთა და ხელოსანთა ურთიერთი დაზღვევის თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიათა საბჭოს 1929 წლის ივნისის 26-ის დადგენილების დამატების შესახებ“ (სსრკ-ის კან.კრ. 1932 წ. 26 №-ი, მუხ, 110).

3. აღნიშნული სალოაროების წესდების დამტკიცება და მათი მოქმედების ზედამხედველობა დაეკისროს საქართველოს სსრ სოციალური უზუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტს“ 179 №-ში 1932 წ. აგვისტოს 3.

### 179. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 129 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 129 მუხლი (კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ.56) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ 129. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი დავთრების წარმოება რეგულირდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გამოცემული ინსტრუქციით და ამ ინსტრუქციის საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ გამოცემული ინსტრუქციებით“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

### 180. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ-ში მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები; ამასთანავე, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებს მინიჭებული აქვთ უფლება ერთპიროვნად გადასწყვიტონ მიმდინარე ხელმძღვანელობის საკითხები.

2. ზემოაღნიშნული ხელმძღვანელობა ხორციელდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს სსრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ცენტრალური სამმართველოს მეშვეობით და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან არსებული სათანადო ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, რომელნიც ასრულებენ აგრეთვე საქართველოს სსრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ცენტრალური სამმართველოს დირექტივებს.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ცენტრალურ ორგანოებთან არსებობს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ცენტრალური არქივები.

4. საქართველოს სსრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ცენტრალური სამმართველოს სათავეში სდგას ამ სამმართველოს გამგე და მისი მოადგილე, რომელთაც ნიშნავს და ითხოვს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

5. საქართველოს სსრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ცენტრალურ სამმართველოს ეკისრება:

ა) შეიმუშაოს მოქალაქობრივი მდგომარეობის ჩამწერი ორგანოებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევის საკითხები (სახელმძღვანელო ინსტრუქციები, ცირკულარები, წესები, განმარტებები და სხვა მისთ.);

ბ) შეიმუშაოს ის კონკრეტული საკითხები, რაც შედის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში გადასაწყვეტად;

გ) გადასწყვიტოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების პრაქტიკაში აღძრული არაპრინციპიალური ხასიათის საკითხები;

დ) გაუწიოს კონკრეტული ხელმძღვანელობა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ ორგანოებს;

ე) მიაწოდოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ ორგანოებს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი დავთრები;

ვ) განაგოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ცენტრალური არქივი;

ზ) გასცეს მოწოდებები, ცნობები და სხვა მისთ. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ცენტრალური არქივის საქმეების მიხედვით.

6. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ცენტრალური ორგანოების კომპეტენციას

განსაზღვრავენ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, რისთვისაც მხედველობაში მიიღებენ ამა დადგენილების მე-5 მუხლს.

საქართველოს სსრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ცენტრალური არქივიდან წარსული დროის სათანადო დავთრების ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ცენტრალურ არქივებში გადაცემის წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს სსრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ცენტრალური სამმართველოს გამგისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ცენტრალური ორგანოების გამგეთა შეთანხმებით, რასაც დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

7. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების უშუალო ჩამწერა სწარმოებს საქალაქო და სასოფლო საბჭოებში საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მეოთხე კარისა (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56) და ამ კოდექსის განსავეითარებლად გამოცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე გ. მბალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. ივლისის 22.

ტფილისი.

## სისხლის სამართალი

### 181. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 103<sup>2</sup> მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

„სატრანსპორტო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-II კარის 1-ლი მუხლის შესაბამისად (1932 წ. მარტის 28-ის რედაქცია—სსრკ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 149) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 103<sup>2</sup> მუხლი (სსრ კან. კრ. 1929 წ. № 16, მუხ. 178) მიღებული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„103<sup>2</sup>. გზათა სახალხო კომისარიატისა, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა, სრულიად საკავშირო გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს და მათი ორგანოების მიერ მიმოსვლის წესრიგისა და უშიშროების დაცვისათვის, ტრანსპორტის ქონების დაცვისათვის, ტრანსპორტის უკანონოდ გამოყენების წინასწარ აცდენისა და აღკვეთისათვის და აგრეთვე სასანიტარო და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიე-

ბათა განხორციელებისათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა, უკეთუ ამას შიშიმე შედეგი მოჰყვა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ან ჯარიმას სამი ათას მანეთამდე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

### 182. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 მუხლის „ბ„ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 მუხლის შეცვლის შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 117), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 მუხლის „ბ„ პუნქტის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამხედრო ნაწილიდან ან სამსახურის ადგილიდან გაქცევა სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან დიდი ხნით ან სრულიად თავის არიდების მიზნით გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 2.

ტფილისი.

### 183. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მტკიცე დავალებათა შესრულებლობისათვის შეძლებული მეურნეობების პატრონთა პასუხისმგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შეძლებული მეურნეობების მფლობელთა მიერ მტკიცე დავალებათა შესრულებლობა დათესვისა და პროდუქციის ჩაბარების სფეროში გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 24 №-ი, მუხ. 264).

2. აღინშნული ქმედობის პირველად ჩადენისათვის გათვალისწინებულ გადასახდელს—ჯარიმას დავალების ღირებულების ხუთჯერად რაოდენობამდე— დაადებს დამნაშავეს სასოფლო საბჭო, რომელსაც უფლება აქვს, თუ საჭიროა, დაჯარიმებულის ქონება საჯარო ვაჭრობით გაყიდოს.

3. სასოფლო საბჭოს დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ ძალაში შედის სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

4. ამ დადგენილების წესით გადახდენიებული ჯარიმის თანხებიდან და აგრეთვე ქონების საჯარო ვაჭრობის წესისამებრ გაყიდვით შემოსული თანხებიდან: 25%—ი მიიქცევა სათანადო ადგილის სოფლის ღარიბი მოსახლეობის კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდში, ხოლო 75%—ი ჩაირიცხება სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე სსრკ-ის სახელმწიფო ბანკში.

5. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 13-ის დადგენილება „სასოფლო საბჭოებისათვის უფლების მინიჭების შესახებ, რათა მათ ადმინისტრატიული წესით დაადონ გადასახდელი კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა მფლობელთ, უკეთეს ისინი არ შეასრულებენ მტკიცე დავალებებს ან ამ დავალებათა შესრულებას თავს აარიდებენ“ (კან. კრ. 1931 წ. მე 12 №-ი, მუხ. 134).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თანმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თანმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაძე.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 171 №-ში 1932 წ. ივლისის 24.

## 184. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

შრომა-გასწორების კოდექსის 41-მუხლის „გ“ პუნქტის და 52 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 49<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

„იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა სამუშაო ხელფასიდან დასაჭერი ფულის ზღვრული ნორმების დადგენის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. თებერვლის 27-ის დადგენილებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. მაისის 3-ის დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომა-გასწორების კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 41 მუხლის „გ“ პუნქტი (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 149) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:



[41. იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, შეჯარდებულ იქნება შემდეგ სამი სახით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, თუ რამდენად შეზღუდულია იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის პირადი თავისუფლება: . . . . .]

„ბ) იძულებითი მუშაობა დაქირავებით მომუშავე პირთათვის, რომელიც მუშაობაც სრულდება იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის მუშაობის ან სამსახურის ადგილას“.

2. დამატოს 49<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„49<sup>1</sup>. სასამართლოს განაჩენით გადაწყვეტილი იძულებითი მუშაობის მოხდა კოლმეურნის მიერ იმ კოლექტიურ მეურნეობაში, რომლის წევრიც ეს კოლმეურნეა, არ შეიძლება“.

3. 52 მუხლი (კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 149) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„52. იმ პირს, რომელიც იხდის იძულებითს მუშაობას თავისი მუშაობის ან სამსახურის ადგილას, სამუშაო ხელფასი ეძლევა შრომის კანონთა კოდექსის თანახმად.“

ამ სამუშაო ხელფასიდან დაიკირება იძულებითი სამუშაოების ბიუროს, მისი განყოფილების ან ამ განყოფილების უფლების მქონე დაწესებულების სასარგებლოდ არა უმეტეს 25%-ისა; ამასთანავე, მხედველობაში მიიღება იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის ოჯახური და მატერიალური მდგომარეობა. ფულის დაჭერის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს შრომა-ვასწორების დაწესებულებათა სამმართველო საქართველოს სსრ პროკურორთან შეთანხმებით.“

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 198 №-ში 1932 წ. აგვისტოს 26.

## სასამართლო წყობილება და სასამართლოს წარმოება

### 185. დადგენილება ც.ა.ბ. და ს.ბ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 71 მუხლის მე-2 ნაწილი-სა და 304 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 71 მუხლის მე-2 ნაწილი და 304 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„71 მე-2 ნაწ.]. იმ შეტყობინების ჩაბარებისას, რაც მოდავის ხელის  
გზავნება (68 მუხ.), მიღების ხელმოწერა უნდა დაამოწმოს იმ სახლის ან დაწე-  
სებულების ადმინისტრაციამ, სადაც მიმღები ცხოვრობს ან მუდმივად მოსაქმეობს,  
ან და სასოფლო საბჭომ“.

„304. სააღსრულებო მოქმედების დროს სასამართლოს აღმასრულებელს შე-  
უძლიან, უკეთეს ეს საჭირო იქნება გადახდევინებისათვის, დაათვალიეროს მოვა-  
ლის სადგომი და საცავეები. აღნიშნული მოქმედება, აგრეთვე სადგომისა და სა-  
ცავეის ვალება უნდა მოხდეს სახლის ადმინისტრაციის ან სასოფლო საბჭოს წარმო-  
მადგენლის თანადასწრებით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

186. დადგენილება ც.ა.კ.და ს.ა.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლის „ა“ პუნქტის მე-5  
ქვეპუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

„პრეტენზიების დამყაფილების რიგობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის  
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს და-  
დგენილების მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის მე-5 პუნქტის შესაბამისად (1932 წ.  
მარტის 28-ის რედაქცია—სსრკ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 148), სრულიად  
საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სა-  
ხალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლის „ა“ პუნქტის  
მე-5 ქვეპუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205) მიღებულ იქ-  
ნეს შემდეგი რედაქციით:

[309. დამყაფილების რიგისა და წესის მიხედვით ყველა პრეტენზია,  
310 და 311 მუხლებში აღნიშნული გამონაკლისით, განაწილებულ უნდა იქნეს  
შემდეგ კატეგორიებად:

ა) პირველ კატეგორიას: . . . . .]

„ 5) ავტორებისა და მათი მემკვიდრების პრეტენზიები იმ გამონაგონთა-  
თვის გადასახდევინებელი გასამრჯელოს შესახებ, რაზედაც გაცემულია სავტორო  
მოწმობები, და ტექნიკურ და საორგანიზაციო გაუმჯობესებისათვის, რაც მიღე-  
ბულია განსახორციელებლად განსაზოგადოებულ სექტორში; ავტორებისა და  
მათი მემკვიდრეების პრეტენზიები პატენტნიცემულ გამონაგონთა და დარეგის-  
ტრებულ სამრეწველო ნიმუშათათვის გადასახდევინებელი გასამრჯელოს იმ ნაწი-  
ლის შესახებ, რაც ექვს ათას მანეთს არ აღემატება“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

### 187. დადგენილება ც.კ.ა. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59<sup>1</sup> და 455 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59<sup>1</sup> და 455 მუხლები (კან.კრ. 1931 წ. მე-4 №-ი, მუხ.54) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„59<sup>1</sup>. თავისუფლად მყოფი ბრალდებული, მოწმე და ექსპერტი დაბარებულ უნდა იქნეს ფოსტით, ტელეფონოგრაფით ან უწყებით, რასაც მას ჩააბარებს სასამართლო ადგილის შიკრიკი ან იმ სახლის სამოურაო, სადაც იგი ცხოვრობს ან და ის დაწესებულება, საწარმო თუ ორგანიზაცია, სადაც იგი მუშაობს.

სოფლად მცხოვრები ბრალდებული, მოწმე და ექსპერტი დაიბარება უწყებით, რასაც მას ჩააბარებს სათანადო სასოფლო საბჭო.

უწყება გაიგზავნება ორ ცალად; პირველი ცალი უნდა ჩაბარდეს ბრალდებულს, ხოლო მეორე, მისი ხელმოწერით, დაბრუნებულ უნდა იქნეს. უკეთეს დაბარებული დროებით სხვაგან არის, უწყება გადასაცემად უნდა ჩაბარდეს მის შინაურებს ან უახლოეს მეზობელს ხელმოწერით.

დაპატიმრებული ბრალდებული დაიბარება საპატიმროს გამგის მეშვეობით ან დაკითხულ იქნება პატიმრობის ადგილას.

სამხედრო მსახური დაბარებულ უნდა იქნეს იმ სამხედრო ნაწილის თუ დაწესებულების უფროსის მეშვეობით, სადაც იგი მსახურობს“.

„455. ჯარიმა და სასამართლო ხარჯი გადახდევინებულ უნდა იქნეს სასამართლოს აღმასრულებლის ან სასოფლო საბჭოს მიერ მსჯავრდადებულის ქონებიდან“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. გ. კუჭაიძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 2.

ტიფლისი.

### 188. დადგენილება ც.კ.ა. და ს.კ.ს.

„ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილების მე-13 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ გამო-

ცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილების მე-13 მუხლი (საქ. სსრ კან.კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 129 და 1932 წ. მე-5 №-ი, მუხ. 60) შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„13. საწარმოო-საამხანაგო სასამართლო მცირე დანაშაულის ჩამდენ პირს უფარდებს შემდეგ საზედმოქმედო ღონისძიებას:

ა) გაფრთხილებას;

ბ) საზოგადოებრივ გაკიცხვას კედლის გაზეთში თუ საერთო პრესაში გამოქვეყნებით ან გამოუქვეყნებლად, ან და შვებულებაზე აღნიშნით ან უამისოდ;

გ) ჯარიმას არა უმეტეს 10 მანეთისა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ („ავიაქიმი“-სა, „ბავშვთა მეგობრისა“, „ავტოგზისა“ და სხვ.);

დ) დამკვერლის წოდების ჩამორთმევას;

ე) მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებას, უკეთუ იგი 50 მან. არ აღემატება;

ვ) მომარაგების უმალღესი ჯგუფიდან უფრო დაბალ ჯგუფში გადაყვანას ვადით არა უმეტეს სამი თვისა;

ზ) აღმინისტრაციის წინაშე საკითხის აღძვრას უფრო ნაკლებსასყიდლიან სამუშაოზე გადაყვანის თაობაზე ვადით არა უმეტეს ორი თვისა, ან დათხოვნის შესახებ;

თ) პროფესიონალური კავშირის სათანადო ორგანიზაციის წინაშე საკითხის აღძვრას განსაზღვრული ვადით პროფესიონალური კარშირიდან გამორიცხვის შესახებ.

შენიშვნა. „მ“ პუნქტში აღნიშნული საზედმოქმედო ღონისძიების გადაწყვეტა სასამართლოს შეუძლიან დამატებითი საზედმოქმედო ღონისძიების სახით“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 198 №-ში 1932 წ. აგვისტოს 26.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომური  
საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოსცემანი

**ს.ს.ს.რ. კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)**

ქართულ და რუსულ ენაზე.  
1932. ფასი 1 მან.

**სამოქალაქო საგარეო საკრძეხე კოდექსი**

ქართულ და რუსულ ენაზე.  
1931. ფასი 1 მან.

**ს ა მ თ რ კ ო დ ე ქ ს ი**

ქართულ და რუსულ ენაზე.  
1930. ფასი 70 კაპ.

**საქორწინო, საოჯახო და საგაუკვეო  
კანონთა კოდექსი**

ქართულ და რუსულ ენაზე.  
1930. ფასი 50 კაპ.

**სისხლის საგარეო კოდექსის  
ცვლილებათა კრებული**

ქართულ ენაზე.  
1931. გასაღდა.